გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის- ლეილა მამულაშვილის

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე გაწეული საქმიანობის შესახებ ანგარიში

2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 214 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 224 საკითხის განხილვაში.

დავესწარი ... ბიუროს სხდომას და მონაწილეობა მივიღე 563 საკითხის განხილვაში.

ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება-დემოკრატიულ საქართველოს“ წევრი. დავესწარი ფრაქციის 7 სხდომას და მონაწილეობა მივიღე 85 საკითხის განხილვაში.

ვარ სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე. ჩავატარე სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის 14 სხდომა და მონაწილეობა მივიღე 36 საკითხის განხილვაში.

მიმდინარე პერიოდში, როგორც საკრებულოს წევრი პერიოდულად ვესწრებოდი სახვადასხვა სახის ღონისძიებებს და ვხვდებოდი ჩვენს ამომრჩევლებს.

ვარ გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი.

დავესწარი კლიმატის ცვლილების კანონის- „თეთრი წიგნის“ შესახებ პირველ საჯარო კონსულტაციას.

ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ 16 დღიანი კამპანიის ფარგლებში ვესტუმრე გორის ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფარს.

მონაწილეობა მივიღე გორის მუნიციპალიტეტისგან 100 % - იანი გრანტის მქონე სტუდენტების დავაჯილდოვებაში.

18 ნოემბერს ვმონაწილეობდი დიმიტრი ყიფიანის სახელობის საინიციატივო საზოგადოებისა და არასამთავრობო ორგანიზაცია ,,ჰორიზონტის" თანამშრომლობით ჩატარებულ ახალგაზრდულ ფორუმში.

გორის დემოკრატიული ჩართულობის ცენტრში დავესწარი გორის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის პროექტის საჯარო განხილვას.

29 ნოემბერს დავესწარი ქვახვრელის ადმინისტრაციულ ერთეულში სხვადასხვა სახის ღონისძიებებს. ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ კამპანიის ფარგლებში,გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ქვახვრელის საჯარო სკოლაში მონაწილეობა მივიღე ღია გაკვეთილში თემაზე: „ერთად, ძალადობის წინააღმდეგ“.

4 დეკემბერს მონაწილეობა მივიღე ქალთა მიმართ და ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული კამპანიის ფარგლებში, გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს მიერ ევროკავშირის სადამკვირვებლო მისიის მხარდაჭერით ჩატარებულ მრგვალი მაგიდა „ერთად,ძალადობის წინააღმდეგ“ ღონისძიებაში.

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად იოანე მოწყალის სახელობის სათონოების სახლს ვეწვიეთ და ბენეფიციარებს საჩუქრები გადავეცით.

ასევე შევხვდით მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მცირე მეწარმეებს.

3 მარტს, დედის დღესთან დაკავშირებით, ერედვის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში დავესწარი ღონისძიებას. დიდი და პატარა ლიახვის ხეობიდან დევნილ ქალბატონებს ვესტუმრეთ კოდის დევნილთა დასახლებაში.

შევხვდი საოკუპაციო ხაზთან მდებარე სოფელ ნიქოზში და სოფელ ქვეშში მცხოვრებ ადამიანებს.

შინდისსა და ვარიანში შევხვდი ქალბატონებს, გავეცანი მათ საჭიროებებს.

12 მარტს სოფელ ბერშუეთში ადგილობრივ მოსახლეობასთან ერთად, დავათვალიერეთ სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოები. განვიხილეთ მუნიციპალიტეტში არსებული პრობლემები და საჭიროებები. ვესტუმრეთ ასევე საბავშვო ბაღს და მოვისმინე პედაგოგებისაგან მათი საჭიროებები.

საკრებულოს წევრებთან ერთად გავეცანი წმინდაწყლის დასახლებაში გვერდწითელის ქუჩის გაგრძელებაზე, ტრანსპორტის მოძრაობის განტვირთვის მიზნით, ახალი საგზაო ინფრასტრუქტურის მოწყობის სამუშაოების მიმდინარეობას.

25 იანვარს, დავესწარი ანა ფერაძის სახელობის გორის სამხატვრო სკოლაში გამართულ გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორ, გიორგი სოსიაშვილის საჯარო ლექციების ციკლიდან მორიგ ლექციას და ახალი წიგნების პრეზენტაციას.

შევხვდი „საზოგადოება ბილიკის“ მცირე საოჯახო სახლის აღმზრდელებსა და აღსაზრდელებს, დამდეგი შობა-ახალი წელი მიულოცე და სამომავლო მხარდაჭერა აღუთქვი მათ.

საკრებულოს წევრებთან ერთად, დავათვალიერე გორში, კვერნაქის დასახლებაში ინფრასტრუქტურული პროექტები- სამებისა და პეტრიაშვილის ქუჩების მიმდებარედ, დასასვენებელი სივრცე კალათბურთის მინიმოედანით.

24 სექტემბერს „ქართული ოცნების'' ქალთა ორგანიზაციის წარმომადგენელ პარლამენტარ ქალბატონებთან ერთად შევხვდი ზარდიაანთკარის მოსახლეობას და გავეცანი მათ საჭიროებებს.

ვესწრებოდი „ქართული ოცნების'' ქალთა ორგანიზაციის რიგით მე-2 კონფერენციას.

შეხვედრები მქონდა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან.

საკრებულოს წევრებთან ერთად შევხვდი საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის წარმომადგენლებს, სადაც საუბარი შეეხო საკრებულოს მუშაობას, ქალთა უფლებრივ მდგომარეობას და მომავალ თანამშრომლობას.

მოვაწყეთ მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა ხელნაკეთი ნივთების გამოფენა.

ასევე დავესწარი გორში ქალაქის სახალხო დღესასწაულ-„გორის დღე 2024“-ს და სხვადასხვა სახის კულტურულ და საგანმანათლებლო ღონისძიებებს.

17 სექტემბერს მონაწილეობა მივიღე ღონისძიებაში, სადაც გორელ სასკოლო ევროპის ჩემპიონატზე წარმატებულ სპორტსმენებს კრივში,მწვრთნელებს და მკლავჭიდის მსოფლიო ჩემპიონატში გამარჯვებულ პარასპორტსმენს 2024 წელს მიღწეული სპორტული წარმატებებისთვის გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოსგან სიგელები და პრიზები გადაეცათ.

დავესწარი გორში, დავით გურამიშვილის ქუჩაზე ახალი დასასვენებელი სივრცის-ბულვარის გახსნას.

დავესწარი გენო პეტრიაშვილსათვის სამშენებლო კომპანია “გორი თაუერსის” მიერ საჩუქრად ბინის გადაცემას.

8 აგვისტოს პატივი მივაგეთ გორში 2008 წელს დაღუპულ გმირებს.

11 აგვისტოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად შინდისის გმირების ხსოვნას მივაგეთ პატივი.

6 აგვისტოს გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ფლავში გავეცანი ახალი საბავშვო ბაღის მშენებლობას.

დავესწარი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტში გამართულ კურსდამთავრებულთა გამოსაშვებ საზეიმო ღონისძიებას და დასაქმების ფორუმს.

გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად შევხვდი მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოსახლეობას, გავეცანი მათ პრობლემებს და მოვახდინე რეაგირება.

შევხვდი საქართველოს პარლამენტთან არსებული გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებს, მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს სამომავლო საქმიანობის დაგეგმვის კუთხით.

მონაწილეობა მივიღე 9 აპრილისადმი მიძღვნილ ღონისძიებაში.

დავესწარი გორის სპორტის სასახლეში პარიზის ოლომპიური თამაშებისადმი მიძღვნილ ღონისძიებას და შევხვდი საფრანგეთის ელჩს საქართველოში.

ჩემი და საკრებულოს წევრების -ბექა ლობჟანიძის და გიორგი გოგშელიძის ინიციატივით, გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გადაწყვეტილებით, ვერხვების მოედანს ევროპის მოედნის სახელი მიენიჭა.
შეხვედრა მქონდა გორისა და სამთავისის ეპარქიის სასულიერო პირებთან მუნიციპალიტეტში მათ მიერ დაგეგმილი პროექტების პრეზენტაციასთან დაკავშირებით.

სოფელ ვარიანში დავესწარი იაკობ გოგებაშვილის დაბადებიდან 184 წლის იუბილეს.

მონაწილეობა მივიღე ბიუჯეტში შესატანი ცვლილებების განხილვაში საკრებულოს წევრებთან და საზოგადოების წარმომადგენლებთან ერთად.

დავესწარი გორისა და გორის მუნიციპალიტეტის სკოლებიდან მასწავლებლის ეროვნულ პრემიაზე წარდგენილ პედაგოგთა მონაწილეობით ღონისძიებას, რომელიც იაკობ გოგოებაშვილის სახელობის სახლ - მუზეუმში გაიმართა.

გორის მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრებთან ერთად შევხვდი სოფელ ატენის თემის სოფლებში მცხოვრებ სხვადასხვა ასაკის ქალბატონებს.

მათგან მოვისმინე ადგილზე არსებულ პრობლემებზე და საჭიროებებზე ინფორმაცია, რომელიც მერიის წინაშე დავაყენეთ მოსაგვარებლად.
მონაწილეობა მივიღე საქართველოს დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად გამართულ ღონისძიებაში.

დავაჯილდოვეთ მუნიციპალიტეტის წარმატებული სპორტსმენები.

ახალგაზრდული შემეცნებითი ბანაკის მოწყობა მერიამ წარმატებით განახორციელა გორის მუნიციპალიტეტის სოფელ ბობნევში და დაბა ბაკურიანში. მონაწილეობა მივიღე ბანაკში გასაგზავნი ახლგაზრდების შესარჩევ კონკურსში, როგორც კომისიის წევრმა. დავესწარი როგორც ბანაკების გახსნას, ასევე მათ დახურვას. ბაკურიანის ბანაკის მონაწილეებს გადავეცით სერტიფიკატები. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლებთან ერთად პერიოდულად ვეცნობოდი ბანაკის საცხოვრებელ პირობებს და ვესწრებოდი მოზარდების მიერ მოწყობილ ღონისძიებებს.

დავესწარი გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ ორგანიზებულ ახალგაზრდულ ღონისძიებას ატენის ხეობაში.

გავეცანი გორის მინიციპალიტეტში სოციალურად დაუცველთა საცხოვრებლით უზრუნველყოფის საჭიროებას და პროექტის მიმდინარეობას.

ქალაქის ტერიტორიაზე ინფრასრუტრუქტურული პროექტების გაცნობა/მონახულების მიზნით პერიოდულად ვხვდები ამომრჩეველს, ვისმენ ამ კუთხით მოსაგვარებელ პრობლემებს. საკრებულოს წევრებთან ერთად ვეცნობოდი „ახალბაღის“ პარკის ბოლო ეტაპის სარეაბილიტაციო სამუშაოებს.

წინასაარჩევნო პერიოდში შეხვედრები მქონდა ქალაქისა და სოფლების მოსახლეობასთან, ვეცნობოდი მათ პრობლემებს და შეძლებისდაგვარად ვაგვარებდი მათ.

25 ოქტომბერს სოფელ ზერტში დავათვალიერე ინფრასტრუქტურა, სპორტული დარბაზები და შევხვდი მოსახლეობას.

შევხვდი ახალგაზრდებს საკრებულოს საქმიანობის გაცნობის მიზნით. ასევე რამდენჯერმე მივაწოდე ინფორმაცია პროფესიული სასწავლებლის და გორის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებს მათთვის საინტერესო საკითხებზე. გავეცანი მათ პრობლემებს, როგორც სწავლის, ასევე საცხოვრებელი ადგილის კუთხით.

მიმდინარე პერიოდის განმავლობაში სისტემატიურად ვთანამშრომლობ ადგილობრივ არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან, მასმედიის საშუალებებთან მთელ რიგ საკითხებთან დაკავშირებით.

ამასთან, ჩართული ვარ როგორც სამოქალაქო ბიუჯეტირების განხილვის, ასევე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაგეგმვის პროცესში.

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის ლეილა მამულაშვილის

ამომრჩევლებთან შეხვედრის დამადასტურებელი

ოქმი

ქალაქი გორი 2024 წლის 22 ოქტომბერი.

სხდომას ესწრებოდნენ :

საკრებულოს თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“- ფრაქციის თავმჯდომარე: კობა ბერიანიძე;

საკრებულოს წევრი: ლეილა მამულაშვილი;

სხდომას ასევე ესწრებოდნენ: ცენტრის ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობა და საკრებულოს აპარატის უფროსი სპეციალისტი თინათინ ფირანიშვილი.

სხდომას თავმჯდომარეობდა: საკრებულოს თავმჯდომარე დავით რაზმაძე.

დღის წესრიგი

საკრებულოს წევრის ლეილა მამულაშვილი 2023 წლის 1 ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიში

სხდომის თავმჯდომარემ დამსწრე პირებს წარუდგინა საკრებულოს წევრი ლეილა მამულაშვილი და გააკეთა განმარტება, რომ საკრებულოს ყველა წევრი ვალდებულია წელიწადში ერთხელ მაინც, არაუგვიანეს 1 ნოემბრისა, ამომრჩეველს წარუდგინონ ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ, ანგარიშის განხილვისას უპასუხონ ამომრჩეველთა მიერ დასმულ შეკითხვებს.

სხდომის დღის სწესრიგის მიხედვით სიტყვა გადასცა საკრებულოს წევრს ლეილა მამულაშვილს, რომელმაც დეტალურად ისაუბრა 2023 წლის ნოემბრიდან 2024 წლის 1 ნოემბრამდე განვლილ პერიოდიში მის მიერ გაწეული საქმიანობის შესახებ. აღნიშნა ის გამოწვევები და სიკეთეები რაც თან ახლდა მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას. მოსხალეობის მხრიდან დაისვა შეკითხვები, რომლებიც ძირითადად ეხებოდა

ინფრასტუქტულულ პროექტებს და სოციალურ პრობლემებს. საკრებულოს წევრმა ლეილა მამულაშვილმა აღნიშნა, რომ იგი აქტიურადაა ჩართული მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტის პროექტის შედგენის და პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებაში, სადაც ასევე იქნება მოსახლეობის ის პრობლემები ასახული რომელის გაკეთებაც ვერ მოხერხდა ამ წლის ბიუჯეტიდან.

აზრი გამოთქვეს: მაკა სოსანიძემ და მანანა გოგიძემ.

გადაწყვიტეს: პრობლემების გამოვლენის და აღმოფხვრის მიზნით გაიზარდოს მოსახლეობის ჩართულობა, რისთვისაც უფრო სისტემატიური ხასიათი მიიღოს საკრებულოს წევრების და ამომრჩევლების ურთიერთშეხვედრებმა და ურთიერთ თანამშრომლობამ.

სხდომის თავმჯდომარე: დავით რაზმაძე;

საკრებულოს წევრი : ლეილა მამულაშვილი.